გზამკვლევი პირველკურსელთათვის

ონლაინ და სააუდიტორიო ლექციების ცხრილები, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო ჯგუფების მიხედვით, განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პლატფორმა **elearning.gtu.ge**-ის მთავარ გვერდზე და სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე **gtu.ge** , რუბრიკაში „**აკადემიური მოსწრება**“ - **https://leqtori.gtu.ge**

28 სექტემბრიდან სასწავლო პროცესი ონლაინ რეჟიმში დაიწყება სწავლების საუნივერსიტეტო პლატფორმაზე - **elearning.gtu.ge, Zoom** და **BBB** პლატფორმების მეშვეობით.

elearning.gtu.ge ელექტრონული სწავლების საუნივერსიტეტო პლატფორმაა, სადაც განთავსებულია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონული კურსები (ელექტრონული სალექციო მასალა, პრეზენტაციები, დავალებები და ა.შ).

elearning.gtu.ge-ზე ავტორიზაციის გასავლელად ველში: **სახელი** (Username) და **პაროლი** (Password) უნდა შეიტანოთ თქვენი (მომხმარებლის) **პირადი ნომერი**.

ელექტრონული სწავლების საუნივერსიტეტო პლატფორმაზე - **elearning.gtu.ge** განთავსებულია რუბრიკა - **„ინსტრუქციები სტუდენტებისთვის“**. ეს არის გზამკვლევი ვიდეორგოლების სახით, რომლის მეშვეობით პლატფორმაზე ავტორიზაციის, სარგებლობისა და ონლაინ ლექციებზე ჩართვის შესახებ ინსტრუქციების მიღებაა შესაძლებელი.

სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ, ყველა პირველკურსელს პირადი ინფორმაციის (სასწავლო და ფინანსური) მოძიება შეეძლება ელექტრონული სერვისების საუნივერსიტეტო სისტემაში - **vici.gtu.ge**
ამ პლატფორმაზე ავტორიზაციის გასავლელად მიიღებთ SMS-შეტყობინებას.

თქვენ გადმოგეცათ ელექტრონული საფოსტო მისამართი, რომელიც განთავსებულია **Google**-ის პლატფორმაზე. საფოსტო სერვისთან ერთად, შეგიძლიათ ისარგებლოთ ულიმიტო „ღრუბლოვანი დისკით“ (**Google Drive**), რეალურ დროში კოლაბორაციის სისტემებით და სხვა ონლაინ სერვისებით.

ელექტრონულ ფოსტაში და vici.gtu.ge-ზე ავტროიზაციის გასავლელად, სახელის (**Username**) და პაროლის (**Password**) შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სტუდენტს.